ლიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშობლო

№388

პარასკევი 24 ივნისი

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ოშაბათიდან, 23 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი**, მიმდინარე ამბები

არზრუმის აღების ერთი ეპიზოდი

უ № ს პოლკის ჯარის კაცის, ლიზავეტა ბაშკიროვის ქალის გმირობა.

დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

სიყვარული ცუღლუტია.

მხიარული კომედია 3 ნაწილად მალოროსთა ცნობილ მსახიობის ლეშჩინსკის მონაწილეობით.

ონსი: ორშაბათიდან, 27 ივნისიდან ნაჩვენები იქნება **ცხოვრება წუთიერია, ლოვნება—უკვდავი.** ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 4 ნაწილად, მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობნი: მოზჟუხინი და პანოვისა. **ხუმრობით სიყვარული.** კომიკური გომონის ფაბრიკისა.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ოშაბათიდან, 23 ივნისიდან: ახალი პროგრამა. **პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები.

იყვარული ხუნდთა პრინცესასი

იერი დრამა 3 დიდ განყოფილებათ. ცირკში მოთამაშეთა ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

განა ეს ქალია! კომიკური

ონსი: ორშაბათიდან 27 ივნისიდან ნაჩვენები იქნება **ალმასის ნათლული** ნამედროვე დრამა 3 ნაწილად ამბროზიოს ს[illegible] [illegible]საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **გომონის ქრონიკა** მიმდინარე ამბები. **ფეხშიშველა „სიყვარუ[ლი]**. მონაწილეობას ღებულობენ პანოვისა, ლაზაროვისა, მურომსკისა და ლენინისა. სურათს დასდგამს ბ. ნ. სვეტლოვისა.

თაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: მველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა.

პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 4—4

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. ს. თ. -9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი ი. **ხარაძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. სა. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ბებია მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს მსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

იღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით ნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევს 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

დ. ლაილაშში

25 **ივნისიდან**

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

თავადნი: ილიკო, ნესტორ და გიორგი ივანეს ძენი ერისთავები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ საყვარელი დის

კნეინა ფეოდოსია (ფუცუ) მიქელაძისა ერისთვის ასულის

გადაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფელ ამაღლებაში, შაბათს, 25 ივნისს, საღამოს 4 საათზე, ამავე სოფლის ეკლესიის სასაფლაოზე 1—1

შაბათს, 25 ივნისს, სოფ. ახალჭალას, გელოვანთა საგვარეულო ეკლესიაში გადახდილ იქნება ახლად გადაცვალებულის

ბაბო იასონ გელოვანის ასულის ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნითესავთ, ნაცნობთა და მეგობართ მეუღლე განსვენებულისა ექიმი გიორგი გაბრიელის ძე ნიჟარაძე და ძმა თ-დი შოთა იასონის ძე გელოვანი.

215 2—1

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზზე.

პეტროგრადი. 21 ივნისი. ბარანოვიჩის ჩრდილოეთით მტ[illegible] მდგომარეობას გვიწევს და სცდილობს ჩვენი ჯარის წინსვლის შეჩერებას. სოფ. ეკიმოვიჩი, სად. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით, რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს ჩვენ დაგვრჩა. არტილერიის ცეცხლი ზევრ ალაგას თანდათან ძლიერდება. ამ ბრძოლებში ჩვენ დაგვეჭრა მამაცი გენერალ-მაიორი კარპოვი და პოლკოვნიკი პერცევი. სად. ჩარტორისკის ჩრდილო დასავლეთით სოფ. ვულკა გალუზი ისკაიასთან ბრძოლით ავიღეთ გამაგრებული ნაწილი მტრის პოზიციისა. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. კოლკის დასავლეთით, სოფ. ტუმანთან, მტერს წავართვით სანგრების პირველი წყება. მდ. სტოხოდის სამხრეთით მთელ ბრძოლის პირზე მდ. ლიპამდე საარტილერიო და ქვეითა ჯარის ბრძოლაა. გალიციის ასპარეზზე ძლიერი სროლაა ორივე მხრით.

გალიციის ასპარეზის სამხრეთ ნაწილში კარპატების კალთების წინ ვებრძვით მტრის არიერგარდებს.

პეტროგრადი. 22 ივნისი. ქვედა სტირის დასავლეთით, სტირ-სტოხოდს შორის და უფრო სამხრეთით ქვედა ლიამდე ყველგან მკაცრი ბრძოლებია. ვულკა გალუზინსკაიას მიდამოებში გავარღვიეთ სამი წყება ეკლიანი მავთულის ხლართებისა, ფუგასები გამაგრებული. ნამეტანი მკაცრი ბრძოლა მოხდა მდ. სტირზე, კოლკის დასავლეთით და მტერი უკუ ვაქციეთ. ჩვენ აქაც დავატყვევეთ 5000-ზე მეტი ჯარის კაცი. 370 აფიცერი, ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი, 17 ტყვიისმფრქვეველი, ორი პროჟექტორი და რამდენიმე ათასი თოფი. საინჟინერო ნაწილები დიდ დახმარებას უწევდენ ჩვენ ჯარს და ხშირად მტრის ცეცხლის ქვეშ მუშაობდენ. ზატურცის ჩრდილოეთით, ვოლია სადოვსკაიასთან ჩვენმა ჯარმა აიღო მტრის სანგართა პირველი წყება. შკმინაზე მტრის იერიში არტილერიის ცეცხლით შევაჩერეთ. ლიპას მიდამოებში დაჟინებით მოჰქონდა იერიშები მტერს, მაგრამ უშედეგოდ. მტერი მდ. სტირზე ლიპას შესართავთან გადმოსვლას სცდილობდა, ჩვენ შევუტიეთ და მდინარეს მივაწყვიტეთ. აქ დავატყვევეთ 7 აფიცერი, 257 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი. გალიციის ასპარეზზე და კარპატების კალთების წინ საარტილერიო ბრძოლებია. ჩვენი მარცხენა ფრთა კვლავ ავიწროვებს მტერს. კოლომიიდან მიმავალ გზაზე ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სოფ სძავკა. ხიშტებით მკაცრი ბრძოლის დროს ჩვენ დავატყვევეთ 9 აფიცერი და 300 მდე ჯარის კაცი. [illegible] გის სრუტეში [illegible] რეგემებს ყუმბარები დაუშინა. ჩვენმა მფრინავებმა ჰიდროპლანი ჩამოაგდეს, მტრის მფრინავები და მეხანიკები დატყვევებულ იქნენ. მერედ მოხდა ჰაერში ბრძოლა და ერთი მტრის ჰიდროპლანი ნაპირზე ჩამოვარდა. რიგა-დვინსკის ხაზზე საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. დაბა გოდუშიშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ტყის ნაპირიდან მტერი განდევნა. სოფ. ჩერნეშკისთან (სმორგონის ჩრდილოეთითაა) ჩვენმა ჯარმა დაიპყრო ნაწილი მტრის პოზიციებისა. სად. მოლოდეჩნოს თავს დასტრიალებდა და ყუმბარებს ჰყრიდა. მტრის 7 ჰაეროპლანი. მდ. ბერეზინას აღმოსავლეთით მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და ქ. ვოლოცნის დასავლეთით დაეშვა, მფრინავი და მზვერავი დატყვევებულ იქნენ. ბარანოვიჩის ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლები გრძელდება და ბევრ ალაგას პირველი ხაზის სიმაგრეები წავართვით. ჩვენი ჰაეროპლანი დაფრინავდა სად. სკობელევსკის ლაგერზე (ბარანოვიჩის სამხრეთ დასავლეთით).

შავი ზღვა.

21 ივნისს დილის ოთხ საათზე „გებენმა" ყუმბარები დაუშინა ქალაქ ტუაპსეს და მის ნავსადგურს, დაღუპა გემი „კნიაზ ობოლენსკი", ხოლო ამავე დროს „ბრესლაუ" უშენდა სოჭის. დაახლოვებით შუადღის 6 საათზე მტრის გემები სამხრეთით მიიმალნენ.

კავკასიის ასპარეზზე.

ბაიბურთის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა სძლია მტრის წინააღმდეგობა გადალახა წინ წაიწია და შეინარჩუნა დაპყრობილი ალაგი. ოსმალთა ყველა კონტრიერიში მოვიგერიეთ.

პარიზი. 21 ივნისი მდ. სომმის ჩრდილოეთით, და სამხრეთით, ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. გერმანელებს ბრძოლა არსად არ დაუწყვიათ. ფრანგები დაპყრობილ პოზიციებზე მაგრდებიან.

ცნობა—ფრანგთა მიერ დიდი დავლის ხელში ჩაგდების შესახებ, მართლდება. კიდევ გამოირკვა მტრის დანაკლისი. ჩვენ აღმოვაჩინეთ მტრის მიერ გადაყრილი ხუთი ბატარეია, ორი მათგანი სხვილი ყალიბის ზარბაზნებისა, ხოლო სამი სუბუქისა. ერბუკურის ჩრდილოეთის კალთებზე ფრანგთა ჰაეროპლანმა გერმანელთა დაბმული ფრიზის ბუშტი დასწვა.

აჟსონისა და ენის შუა ფრანგთა მზვერავი რაზმები გაჩნდენ გერმანელთა პირველი წყების თხრილებში. ბებრენის ჩრდილო აღმოსავლეთით, ვენგერის პირდაპირ შევიდენ მაშველი თხრილით და ტყვეები წამოიყვანეს. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა ვერ შესძლეს მორტჰომის სამხრეთ კალთების სანგრებზე იერიშის მიტანა.

მათ ხელს უშლიდა ფრანგთა არტილერიის ცეცხლი.

მაასის მარჯვენა ნაპირზე მთელი ღამე ძლიერი ბრძოლები იყო ტიომონის ჩრდილო დასავლეთით. უქმი გამოდგა გერმანელთა ექვსი ზედიზედ წარმოებული იერიში ცეცხლის გამჩენ სითხის ხმარებით. გერმანელებმა ფრანგთა არტილერიისა და თოფის ცეცხლის წყალობით დიდი დანაკლისი ნახეს. ფრანგებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. ფიუმენის ტყის ნაპირის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრანგებმ[illegible] რამდენადმეთ წინ წაიწიეს დ განდევნეს გ[illegible] მანელები ერთ პატარა სანგრიდან [illegible] ლუს ბატარეის ჩრდილო-დასავლ[illegible] ზემო ელზასში გერმანელებმა იერი[illegible] იტანეს ასპეკის დასავლეთით [illegible]რე სიმაგრეზე, მაგრამ ფრანგებმა [illegible]ლათ მოიგერიეს.

სოჭი. 21 ივნისი. სალამო[illegible] ხუთ საათზე, ზღვის მხრით ქალაქს [illegible]ახლოვ[illegible] და მტრის ოთხსაკვამლიან[illegible] კრეისერი, [illegible] აღმოჩნდა, „ბრესლაუ". გემზე [illegible] (რუსთა საზღვაო დროშა). ნაპირს, რო[illegible] [illegible]ახლოვდა, კრეისერმა ოსმალური ალამი აა[illegible]ფრიალა და დაღუპა ტრანსპორტი № 21, შავი ზღვის რკინიგზისკუთვნილება, დატვირთული საგზლით. კრეისერმა დაღუპა აგრეთვე იალქნიანი გემი, რის შემდეგაც ნელნელა უკან გაბრუნდა

ვარდანთან საბოლოოდ ჩაღუპა ტრანსპორტი, რომელსაც გუშინ ოსმალთა წყალქვეშამ ნაღმი ესროლა. ქალ. სოჭისათვის არ უსროლია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პარიზიდან იტყობინებიან: ვენაში დიდი უკმაყოფილონი არიან იმ პირთა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ რუსების წინსვლის შეჩერება და ვერავითარი ენერგია და მოხერხება ვერ გამოიჩინეს.

სტოკჰოლმიდან ცნობაა—გალიციის ასპარეზზე ავსტრიელები თავგანწირვით იბრძვიანო.

„ლე პტი ჟურნალი" სწერს: ღენერალ ლეჩიცკის ჯარი კალომიის აღების შემდეგ ლვოვზე გაილაშქრებს.

სიკვდილით დასასჯელის ირლანდიის აჯანყების მეთაურ კეზმენტის გვარი ინგლისის საგვარეულო წიგნაკიდან ამოშალეს. ამას წინად დაღუპულ ლორდ კიტჩენერს თავის ქონება პოლკოვნიკ ფიც-ჯერალდისთვის დაუტოვებია.

რუსთა გამარჯვება ბულგარელებზე მეტად ცუდ შთაბეჭდილებასა და გავლენას ახდენს. ამბობენ, ორ ადგილას ბულგარლების ჯარი აჯანყდა და იარაღი დაჰყარაო.

შეთანხმების სახელმწიფონი დიდ იმედებს ამყარებენ ფრანგებისა და ინგლისელების საერთო შეტევაზე.

"რუსკია ინვალიდი" სწერს: ლუცკ-კოველ-ვლადიმირ სოკოლსკთან უსაშინელესი ბრძოლებია. გერმანელებს მაშველი ჯარი განუწყვეტლივ მოსდისთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. მდ. სტირსა და სტახოდზე მკაცრი ბრძოლები კვლავ გრძელდება. კოლკის დასავლეთით რუსებმა დაატყვევეს 370 აფიცერი და 5000 მეტი ჯარის კაცი. რუსებს დაუჭრეს გენ. მაიორი კარპოვი და პოლკოვნიკი კერცევი. რუსებმა ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს გერმანელებისა.

19 ივნისს, შავ ზღვაზე „გებენმა“ ტუაპსეს ყუმბარები დაუშინა და ერთი ტრანსპორტი დაღუპა. მხოლოდ კრეისერმა „ბრესლაუმ“ სოჭს დაუშინა ყუმბარები. 21 ივნისს კვლავ მოევლინა სოჭს „ბრესლაუ“ და დაღუპა ორი ტრანსპორტი და ნელნელა მიიმალა სამხრეთისაკენ.

დასავლეთის ასპარეზზე ალაგ-ალაგ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია. ვერდენთან გერმანელებს მორტჰომის სამხრეთ კალთებზე მდებარე სანგრებზე 6 იერიში მიუტანია, მაგრამ უშედეგოთ.

სხვა ასპარეზებზე უმნიშვნელო ბრძოლებია

მდინარე სტირზე ბრძოლა თანდათან ვითარდება და მწვავდება. ავსტრიელებმა გერმანიის ფლოტის ცეცხლი მოიშველიეს. სანაპირო სიმაგრეები მიწასთანაა გასწორებული.

— —

სპარსეთში გერმანიის გავლენის აღმოფხვრა და რუსეთ-ინგლისის საწინააღმდეგო აგიტაციის მოსპობა დაევალა რევოლიუციის დროს სპარსეთიდან გაძევებულ პრინც ზიულ სულთანეს. სულთანე დაინიშნა ქერმანშაჰის გენერალ-გუბერნატორად. ქერმანშაჰი ითვლება გერმანელების მთავარ სამოქმედო ადგილად. პრინც სულთანეს თავის მოქმედებაში ყოველ საჭირო დახმარებას პეტროგრადიდან და ლონდონიდან გაუწევენ.

— —

რუსეთის სატახტო გაზეთების სიტყვით, ამ ბოლო დროს ვერდენის ასპარეზზე ფრანგების მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთებულა და ფრანგებს არავითარი საფრთხე არ მოელისთო.

— —

პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: [illegible]ალეთში მოსალოდნელია ჩერკესების [illegible]იბმა.

— —

რუ[illegible]ა შეტევას ვენაში დიდ ყურადღებას [illegible]ევენ. „არბაიტერ ცაიტუნგი“ სწერს [illegible]უსთა უკანასკნელი შემოტევა კარგა ხნ[illegible] [illegible] უნდა იყოს.

— —

როგორც ლონდონის გაზეთები იუწყებიან, ლორდ კიტჩენერის გემი დაუღუპავს გერმანიის წყალქვეშას. ლორდის ინგლისიდან წამოსვლის ამბავი ინგლისელ ჯაშუშებს ბერლინში უცნობებიათ. გერმანიას მაშინვე წყალქვეშა გემი „У“ გაუგზავნია.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, ვერდენის ბრძოლის სასწორი მთლად ფრანგებისაკენ გადახრილა. მაასისა და სომმის ნაპირებიდან გერმანელები სრულიად განდევნილი არიანო

— —

შამპანში ფრანგ-ინგლისელებს საერთო შეტევა დაუწყიათ.

— —

პარიზელი სამხედრო მიმომხილველები ამბობენ, ბრძოლის ველზე უკვე მოხდა შეთანხმების სახელმწიფოთა მიზანშეწონილი და პრინციპიალად შეთანხმებული მოქმედებაც. ყველა ფრონტზე ჩვენ შეტევას ვაწარმოებთ. პირველ ხანებში ჩვენი ხელის შემშლელი იყო მხოლოდ მიზან შეწონილი მოქმედება. დღეს-კი, რადგან ეს დაბრკოლება თავიდან ავიშორეთ, საერთო მტერს უთუოდ დავამარცხებთ და გამარჯვებაც აუცილებლად ჩვენს მხარეზე იქნებაო.

— —

„რუსკ. ვედ“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: 12 ივნისს დასრულდა ბერლინში დიდი სამხედრო ბჭობა. ამ ბჭობაზე დაუდგენიათ დიდძალი ჯარით წამოვიდენ რუსეთის ფრონტისკენ და ყოველი ღონე იხმარონ რუსთა შეტევის შესაჩერებლად. გენ. ბრუსილოვის ჯარების უკუგდება მიუნდვიათ ფელდმარშალ მაკენზენისთვის. [illegible] უკვე ჩაუბარებია და ქ. ლვოვში მოსულა. სამხედრო ბჭობაზე აგრეთვე გადასწყდა—დაევალოს კაიზერს მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ფრონტზე საწარმოო ოპერაციების წარმოებაში. მხოლოდ ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა მაკენზენის დასახმარებლად შემოტევები უნდა დაიწყოს რიგა-დვინსკის ასპარეზზე.

— —

„რუსკ. სლოვ.“-ს ცნობით, ამ მოკლე ხანში ქ. კოველში მოელიან იმპერატორ ვილჰელმს.

— —

ბუქარესტიდან მოსულ ცნობების მიხედვით, ტრანსილვანიაში მღელვარება დაწყებულა. უნგრელ გენერალს ლაუდგაპს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ტრანსილვანიის დაცვა, თავი მოუკლავს.

— —

ბალკანეთზე წვრილმანი ბრძოლები განახლდა. ვარდარის ნაპირებზე ცხარე საარტილერიო ბრძოლებია.

— —

ფორტ-რუპელს ფრანგების ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს და სტრუმიცასთან მოსპეს ხორბლით დატვირთული მატარებელი.

— —

ლონდონში ცნობა მისულა, რომ ვილჰელმის თავჯდომარეობით მომხდარ სამხედრო თათბირზე დაუდგენიათ დასავლეთის ასპარეზზე თავდაცვით ბრძოლა აწარმოონო.

— —

ბირჟ ვედ“. ცნობით, რუსთა შეტევა უნგრეთში დიდ მღელვარებას იწვევს. გრაფი ტისა საქმეს უიმედოთ უყურებს. ზოგიერთი პარტია უნგრეთის დამოუკიდებელ სამეფო გამოცხადებას ფიქრობს.

სამხედრო მიმოხილვა

როგორც ვიცით, რუსების გალიციის ასპარეზზე დიდ შეტევას მოჰყვა შეტევა დასავლეთისა და იტალიის ასპარეზებით ასე თუ ისე, ამ ბოლო თვეში მოკავშირეთა ჯარი ენერგიულად ამოქმედდა ყოველ მხარეზე, თუ ამ ახმაურებამ არ მიიღო ფართო შეტევის ხასიათი და ვერ გადაიქცა ის საერთო შეტევათ, რომლითაც მოკავშირეებს გერმანელთა შემუსვრა სურდათ, ეს იმიტომ, რომ იგი ამ ხანად შეუძლებელი აღმოჩნდა. წარსული ბრძოლები აღმოსავლეთ და დასავლეთ ასპარეზებით ერთგვარი ცდა იყო, რომლის მიზა[illegible] საერთო შეტევა მოკავშირეებისა.

როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით შეუძლებელი ყოფილა და, მაშასადამე, მომავალში კვლავ უნდა მოველოდეთ მოკავშირეთა შეტევას.

ახლა კი მეტი არ იქნება აღნიშნა ზოგიერთი გარემოებისა, რომელიც ხელს უშლის საერთო შეტევის სათანადოთ წარმოებას. ნა[illegible]ტანი დიდი და პირდაპირი მნიშვნელობა აქვს ორ გარემოებას.

მოკავშირეთა ჯარი გაფანტულია. სხვა და სხვა ალაგას უყენიათ მოკავშირეთ ჯარები, რომელთაც მაინც დამაინც იმდენი მნიშვნელობა არა აქვთ. ხოლო თუ ისინი მთავარ ასპარეზებზე იქნებოდენ, უფრო მეტის გაკეთება შეეძლებოდათ მათ, ვიდრე მცირე ხარისხოვან ასპარეზებზე მოქმედებით.

ამ მხრივ ყოვლად გაუგებარია, რისთვის არის დაბანდებული სალონიკში 400,000 იანი ჯარი და ან კიდევ იტალიელთა კორპუსი ალბანეთში.

დღეს, როდესაც გერმანელების ტეხნიკა მაღლა სდგას და ამ მხრივ მათი დაჯაბნა თითქმის შეუძლებელია, რატომ ჯარის სიმრავლით მაინც არ ისარგებლებენ მოკავშირეები. ამ მხრივ ხომ შეიძლება რამოდენიმედ მიზნის მიღწევა, ამას გვარწმუნებს ჩვენ გალიციის ბრძოლები, სადაც რუსებმა ჯარის სიმრავლით სძლიეს ავსტრიელებს

შვერელი.

ღია პასუხი

„ჩვენი მეგობრის“ რედაქციას.

ბატონო რედაქტორო!

დღეს გადმომცეს თქვენის გაზეთის 85 ნომერი, რომელშიაც მეკითხებით, რამდენათ შეესაბამება სიმართლეს გაზეთს „ახალ კვალში“ მოთხრობილი ამბავი, ვითომც ქუთაისის ვექილთა ოთახში მეთქვას, რომ სხვათა შორის, გ. ზდანოვიჩს შეუტანია დონოსი, რომელსაც შედეგათ მოჰყვა ჩემს შესახებ სამართალში მიცემის აღძრვა. მოვძებნე „ახალი კვალიც“. შიგ ჩემი ნათქვამი სწორად არ არის მოყვანილი: არ მითქვამს „სხვებთან ერთად დონოსზე ხელი უწერიათ ანდრია ერისთავს, გ. ზდანოვიჩს და იონა მეუნარგიასო“. ან რა გამოსაძიებელია, თუ რა სთქვა ნიკოლაძემ კერძოდ, ვექილების ოთახში? ვინც სიმართლის მაძიებელი და ჩვენი მოღვაწეების ღირსების დამცველი ბრძანდება, მას ყურადღება უნდა მიექცია ბევრად უფრო შემაძრწუნებელი ამბავისთვის, რომელიც თვით სასამართლო პალატამ საჯაროდ გამოაქვეყნა: სენატორის ნეიდგარტის რევიზიის მთავარ-მოხელეს, პროკურორს ვლადიმირ ისმაილის ძეს სლუჩევსკის უჩვენებია, ნიკოლაძის საქმე აღიძრა კავკასიის უაღრესი საზოგადო მოღვაწეების თაოსნობით და უჯათობითო. მათ მოახსენეს სენატორს, რომ ფოთის ნავთსადგურის შენებაში ნიკოლაძემ მრავალ-მილიონიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, რომელთაც კავკასიის მთავრობა კალთას [illegible]. ამ ჩვენების ნა[illegible] [illegible] შეუძლია. ეს „ხმა“ კი არ გახლავს, ვექილების ოთახში გავრცელებული, ნამდვილი და ჭეშმარიტი ფაქტია, ნეიდგარტის ანაშემწისგან დადასტურებული.

ბბ კავკასიის „საზოგადო მოღვაწეებს“ რომ ბ. ნეიდგარტი შეცდომაში ჩაუგდოთ ფოთში მომხდარის ბოროტმოქმედების შესახებ, ეს თვით რევიზიამ, გამოძიებამ და სასამართლომ დაამტკიცა: ხუთს წელიწადს ეძიეს, ცა და მიწა გადააბრუნეს, და ვერავითარი, არა თუ ბოროტმოქმედება, უწესოებაც კი ვერ იპოვეს, ვერც ფოთის ნავთსადგურის შენებაში, ვერც ფოთის ქალაქის მართვაში. თვით ის მუხლი (372) სისხლის სამართლის, რომელზედაც რევიზიამ, გამოძიებამ და სასამართლომ ჩემი საქმე დაამყარა, მარტო ისეთს საქციელს ეხება (როგორც შიგვე სწერია), «რომელიც სრულიად არაფერში არ არღვევს სამსახურის მოვალეობას». ერთი ნამცეცა რამე ამ მოვალეობის დამრღვევი, რომ ეპოვათ, პასუხისგებაში მიმცემდენ სულ სხვა მუხლის (373) ძალით, რომელიც, მოგეხსენებათ, დამნაშავეს ღირსებას ხდის და სამი წლის ციხით სჯის. ვიმეორებ—ბოროტმოქმედება ყალბად გაჭედილი გახლდათ.

ვინ ბრძანდება ის ვაჟბატონები, ვინც იკადრა ეს სიყალბე, ვინც ახე «არა საკადრისად“ ისარგებლა სენატორის რევიზიის ყოვლის შემძლებლობით. ეს ჩემი საძიებელი როდია. ეს იმ საზოგადოებამ, იმ ერმა იკვლიოს, რომელიც ასეთს წარმომადგენლებს ქვეყნის ბედს აბარებს. კითხვის გამოსარკვევლად თუ, ვექილ[illegible] ოთახში ნაბაასევის მაგივრად, უტ[illegible] დოკუმენტს მიჰმართავთ, დარწმუნდებით, რომ საქმე აღუძრავთ „კავკასიის უაღრესს საზოგადო მოღვაწეთ“. ეს ხარისხი, მოგეხსენებათ, მარტო სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს წევრებს ეძლევათ. ბ. ბ. გიორგი ზდანოვიჩი და იონა მეუნარგია ჯერ მას არ ატარებენ. ქართველთ „მოღვაწეთაგან“ ფოთის ბოროტმოქმედება სენატორ ნეიდგარტს და მის [illegible] სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ბათომის ოლქისამ თ. პროკოფი შარვაშიძემ და ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელმა სახელმწიფო საბჭოში თ. ანდრია ერისთავმა. ამ უკანასკნელის მოქმედება სასამართლოს წინაც გამომჟღავნდა.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ ორივე ეს ქართველი „საზოგადო მოღვაწე“ ბრმა იარაღად გახდენ სხვა უფრო ოსტატის და პირშავად მოქმედის ძალე-

მეცნიერებიდან.

ჭლექის მიკრობები.

ჭლექი ადამიანის გაჩენისათანავე თანდაყოლილი ავადმყოფობაა...

ეს აღწერილი აქვთ ძველ მწიგნობრებს ყველა თავისი თვისებით და კლინიკურის მზგავსებით...

ჭლექი ჩნდება პატარა უძრავ ბაკტერიებიდან, რომელიც წააგავს ჩხირებს, და უბრალო თვალით არ დაინახება

სიგრძე ამ მიკრობს აქვს ერთ მიკრონიდან ხუთ მიკრონამდის, სიგანე სამი მეათედიდან ხუთ მეათედ მიკრონამდის. ე. ი. ღომის მარცვალი რომ ათას ნაწილათ გავყოთ, იმოდენა იქნება.

ჭლექის ჩხირები პირველად აღმოაჩინა რ. კოხმა 1882 წელს.

ეს აღმოჩენა ითვლება დიდ მოვლენათ და საუკეთესო საშუალებათ ამ სენთან საბრძოლად; როგორც კოხს, ისე სხვა მეცნიერებს უადვილებს გაეცნოს მისს თვისებებს; ჭლექის მიკრობები გადააქვთ ზღვის გოჭზე ვირთხებზე კურდღლის ბაჭიებზე აგრეთვე შეიძლება გადატანა ამ მიკრობების ხელოვნურათ გაკეთებულს ნიადაგზე მაგალითად: ბულიონზე, კართობილზე, აგარზე (აგარი—იაპონიის წყლის მცენარეა) და სხვა.

როდესაც კაცობრიობის ეს უსაშინელესი მტერი და მისი თვისებები კარგათ იქნება შესწავლილი, მაშინ ისე ძნელიც არ იქნება მასთან ბრძოლა ..

ახლო მომავალში, უეჭველია, ამას მეცნიერები მიაღწევენ და გამონახვენ რადიკალურს საშუალებას მისს საწინააღმდეგოთ.

ბევრი გამოჩენილი მეცნიერი დღე და ღამ მუშაობდენ და მუშაობენ ამ დარგზე, მაგალითად; ხოკი, ერლიხი, ბერინგი, მეჩნიკოვი და სხვები...

განვიხილოთ ეხლა თუ როგორ შეიძლება აღმოჩენა და დამუშავება იმ მასალისა, რაშიაც გვეგულება კოხის ჩხირები, ანუ ჭლექის ბაკტერიები

ადამიანისაგან აღებული ნახველი, ჩირქი თუ განავალი, უნდა გაეცხოს სპეციალურათ ამისათვის დამზადებულ შუშაზე, დაესხას ზედ წითელი საღებავი, რომელსაც ფუქსინი ეწოდება, მერმეთ უნდა ვიმოქმედოთ მაზე გახსნილი სიმჟავითა და სპირტით, ცოტახანს შემდეგ კიდევ უნდა დავამუშავოთ წყალში გახსნილ მეტილის ლილით.

ამგვარად დამუშავებულს შუშას ვსდებთ მიკროსკოპის ქვეშ და შემდეგ სურათს ვხედავთ: ლურჯ სივრცეზე მოსჩანან წითელ-წითელი ჩხირები. აი, ეს არის ჭლექის ბაკტერიები, რომელსაც აღმომჩენის სახელს „კოხის ჩხირებს“ უწოდებენ.

განვიხილოთ რა ხდება შეღებვის დროს. მასალიანი შუშა, როდესაც ფუქსინით შევღებეთ და ვიმოქმედეთ მაზე სიმჟავით, სპირტითა და საღებავით, მიკრობებს პირვანდელი შენაღებავი წითელი ფერი,არ შეუცვლიათ... ამით განსხვავდება სხვა მიკრობებისაგან, რომელნიც ჰკარგავენ ფერს სიმჟავისაგან სპირტისაგან ამიტომაც არის რომ ჭლექის ჩხირებს მეცნიერებაში ეძახიან სიმჟავისა და სპირტის გამძლებ მიკრობებს ..

ჭლექის ჩხირების აღმოჩენა ადამიანის სხეულში აუცილებელი ნიშანია ამ სენისა.

ამ ჩხირებს პოულობენ ჭლექიანის ნახველში, შარდში, სისხლში, ჩირქში, ძვალში, გარეთ განავალში და კანში.

საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მათ გადაცრას და გაღვივებას შესაფერს ნიადაგზე გადაცრა ძალიან ძნელია ხელოვნურ ნიადაგზე,—საჭიროა შეზომილი ჰაერი,რადგანაც უმჟავ ბადოთ არ მრავლდება. იზრდება საქონლის სისხლის სითხეზედ რომელსაც მიმატებული აქვს 2 ან 5% გლიცერინა. იზრდება აგრეთვე გლიცერინით მიმატებულ აგარზე და ბულიონზე...

ამ ბოლო ხანებში აკეთებდენ ნიადაგს შესაფერ საქონლის რძის წაქისაგან, რომელშიაც ერთს დღესა და ღამეში ღვივდება.

ჭლექის ჩხირები ძალიან დიდხანს ცოცხლობს ნახველში. ხელოვნურათ გაკეთებულს ნიადაგზე თუ სინათლეს მოშორებულნი არიან იხოცებიან მხოლოდ ერთი ან ორი წლის შემდეგ

იყო მაგალითი, რომ რამდენსამე თვის შემდეგ ნახულობდენ ჭლექის ჩხირებს ავადმყოფის ნახველში და აღვივებდენ ზემო მოყვანილ პირობებშიო.

მაგალითად: ცხოველებზე და ხელოვნურად გაკეთებულს ნიადაგზე... ამ ფაქტორის ცოდნა დიდ მნიშვნელოვანია ამ სენის გავრცელების საკითხში.. წყალში ჭლექის ბაცილები გადამდებ თვისებას ერთ წელიწადს არ კარგავს. სიცივესაც კარგათ იტანს: მაგალითად, ექვსი-ათ ათ გრადუსს ყინვას უძლებს. თოვლის ქვეშ მოყოლილიც კარგა ხანს სძლებს.

გერმანომ და ფლიუგემ დაამტკიცეს, შემდეგი: ოთახში, სადაც ეგულებოდათ მტვრათ ქცეული გამხმარი ბაკტერიები ამ სენისა, დაამწყვდიეს ძაღლი,რომელიც დაავადმყოფდა ჭლექით ამ ოთახის ჰაერით. კორნემ გამხმარ ჭლექის ბაცილებში დასვრილი ფარდაგი დაფერთხა ოთახში, მოათავსა 48 ზღვის გოჭი, იმათგან 47 დაავათმყოფდა ჭლექით დიდ სიცხეს დიდხანს ვერ უძლებს ეს ბაკტერიები. მაგალითად 70 გრადუსს ოც წამს უძლებს, 80°,—5 წამს.

ხუთ პროც კარბოლის სიმჟავე ხოცავს ნახველში ჭლექის ჩხირებს მხოლოდ ოცდა ოთხ საათში

სულემის სითხე კი არ ვარგა ჭლექის ჩხირების დასახოცავათ, რადგანაც აგუნდავებს გარეთა ნაწილს ნახველისას და შიგნითა ნაწილს ვერ სწვდება. ყველაზე უფრო სინათლე მოქმედობს ამ ბაკტერიებზე: მაგალითად, პირ-და-პირი მზის სინათლე ხოცავს რამდენიმე საათში; გაფანტული ოთახის სინათლე კი, —რამდენიმე დღეში. ამისათვისაა ექიმები რომ ურჩევენ ყველას მზიან და სინათლიან ოთახში დგომას.

ყველა ზემო ჩამოთვლილ პირობიდან ცხადათ სჩანს თუ როგორი საშიშია დახურული და დაჩრდილული ოთახები, მით უმეტესს, თუ ავადმყოფიც არ არის ფრთხილათ თავის ნახველთან და უადგილო ადგილს აფურთხებს, ერთ პატარა და ბნელ ოთახში ბევრნი სცხოვრობენ და განათლებასაც მოკლებულნი არიან..

რაც შეეხება მემკვიდრეობით გადასვლას, ჭლექისა ეს დაამტკიცა გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა კორნეტმა ჭლექიან მშობლების ბავშებზე გამოცდით. ეს ბავშები დაბადებისთანავე გადაყავდა ობოლთა თავშესაფარში და თვალ-ყურს ადევნებდა, მაგრამ არც ერთი არ გამხდარა ამ სენით ავათ გარდა ამისა ნაცადია: ჭლექიანი ძროხას რომ მოაცილოთ ხბო და გაზარდოთ მთელი ძროხის რძით, ხოლო ჭლექი არ დაემართება.

ჭლექის ჩხირები ავადმყოფობის მომაგვრელია, როგორც ადამიანისთვის, ისე ცხოველებისათვის. წვრილ ფეხა ოთხ ფეხ ცხოველებს განსაკუთრებით მიმღებიტანი აქვს: ზღვის გოჭებს, კურდღლის ბაჭიებს, კატას, ვირთხას, ცხვარს, თხას და სხვ.

ზღვის გოჭს ორი კვირის შემდეგ უსივდებათ ლიმფის ძარღვები, ანაცერ ადგილას უჩნდება მუწუკი, აკლდება წონა...

ნაცადი მაქვს შემდეგი: 7 მარტს 1916 წ. ავუცერი ადამიანის ჭლექი ზღვის გოჭს. აცრის წინ იწონიდა 620 გრამს ე ი. გირვანქა ნახევარს. ცხრამეტ აპრილს ე. ი. ორმოცი დღის შემდეგ მოაკლდა წონა 400 გრამი. დარჩა 3/4 გირვანქის, კიდევ ერთი კვირა და მთელი ტანი გაეჟღენთა ამ მიკრობით და დაიღუპა...

ადამიანისა და რქიან საქონლის ჭლექის მზგავსების საკითხი მეცნიერობაში დიდ კამათს იწვევდა მაგრამ კოხმა 1901 წელს გამოარკვია და გამოაქვეყნა ლონდონის კონგრესსზე, რომ აღმძვრელი მიკრობი ადამიანისა და რქიან ცხოველისა არ არის ერთნაირი ის უშხაპუნებდა ხორცს შუა და კანს შუა რძიან საქონელს, ადამიანისაგან ხელოვნურს ნიადაგზე გადაყვანილს ჩხირებს, მაგრამ მხოლოდ ის ადგილი უსივდებოდა, სადაც უშხაპუნებდენ და არა მთელი ტანი უავადმყოფდებოდა. ამგვარად, კოხმა ორი ტიპის მიკრობი აღმოაჩინა: ადამიანის და ხარის. ეს აღმოჩენა სხვა მეცნიერებმაც სცადეს და დაადასტურეს, რომ მორფოლოგიურათ ჩხირები ადამიანის ჭლექისა რქიან საქონელისაზე განსხვავდებიან. რქიან საქონლის ბაცილები უფრო მსხვილია და მოკლე ვიდრე ადამიანის.

ადამიანისაგან ჭლექი საქონელზე არ გადადის, საქონლიდან ადამიანზე კი.

მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგს: დაავადმყოფებულ ბავშს წლების ჭლექით, აღმოუჩინეს მუცელში საქონლის მზგავსი ჭლექის ჩხირები. მიზეზი ამ სენით დაავადმყოფება ძროხის რძე ყოფილა... პროფესორმა ალფეი ნოჯარდმა დაამტკიცა: შეიძლება ერთგვარი ჭლექი გარდაიქმნეს მეორე გვარათ. მან ადამიანის ჭლექის ჩხირები გადაიტანა ფრინვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ხელში, რომელნიც ქართველობის გარეშე სდგანან და ქართველობას ებრძვიან: წამქეზებლები ბრძანდებოდენ სოჩხების მეთაურნი და გერმანიელი მრეწველები. მათ განზრახვას — ჩვენი შავი ქვის მადნების დასაკუთრებას—ხელს-უშლიდა ფოთის ქალაქის საქმიანობა აი, სადაა დამარხული ძაღლის თავი!

მართალია, თქვენ, ბატონო რედაქციავ, თვითონ მიბრძანებთ რომ ეს ამბავი თქვენ გაშფოთებსთ მარტო როგორც ბ. ზდანოვიჩის „ამხანაგებს, მეგობრებს და პატივისმცემლებს" მე კი სულ სხვა თვალსაზრისი მაქვს. ყოველ პიროვნებას უნდა ალემატოს აქ ქვეყნის საქმის მხარე. თუ მართლა მამულის დარაჯნი ბრძანდებით სტამბაში, უნდა დაივიწყოთ, რომ ბ. ზდანოვიჩის მეგობარი და ჩემი მტერი ხართ. მარტო ის უნდა იკვლიოთ: ჩვენს ურთიერთობაში მამულის ერთგული, ან მამულის მოღალატე ვინ ყოფილა? ამ საკითხის გაშუქებას თუ ისურვებთ, გულახდილად მოგახსენებთ, რის ბრალს ვსდებ ბ. ზდანოვიჩს დიდი ხანია, მარტო ქუთაისის ვექილების ოთახში კი არა, საქვეყნოდ, სტამბით, საზოგადო დაწესებულებებში, ყოველთვის, ყოველგან.

ან სძებნა, იპოვა და მოგვიყვანა გერმანიიდგან ის მრეწველები, რომელმაც თუთხმეტი წლის მეცადინეობით ხელში იგდეს უმჯობესი ჩვენი. შავი ქვის მადნები, მხაკვრულად შეაფერხეს ფოთის ნავთსადგურის მოწყობა, მკვიდრ მრეწველებისთვის სარგები, და განიზრახეს მის მაგიერ საკუთარი კერძო ნავთსადგურის და ელევატორის გამართვა ქობულეთს, ჩვენის ვაჭრობა მრეწველობის უცხოეთისგან დასაჯაბნებლად ამ უცხოელების სასარგებლოდ. ბ. ზდანოვიჩი ათი წლის განმავლობაში ფოთის ქალაქს ებრძოდა, საშუალებებთა განურჩევლად. სტამბით (სახელდობრ ნახეთ მისგან ხელ მოწერილი მხილება, დასტამბული Батумскій Голосъ-ში 1908 წ. №№ 187 და 188) და მინისტრებთან მირთმეულ არძებში, აგრეთვე სხვადასხვა სამმართებლო კომისიებში ბატ. ზდანოვიჩი ნიადაგ გერმანიელი მრეწველების ცილის წამებას ადასტურებდა: ფოთს ნავთსადგურის შენება საჭირო არ არისო, ფოთის ელევატორი ბ. ნიკოლაძის უსარგებლო ახირება არისო, ფოთის ქალაქის მართველობა ბოროტმოქმედებს, ფულებს ფლანგავს, მარტო ნიკოლაძის ჯიბის სქელებას ემსახურებაო. ამ ,,დონოსებს'' ყველას ბატ. ზდანოვიჩის ხელი აწერია

ყველა ესვე ბრალდება ბ. ზდანოვიჩმა სახელმწიფო სათათბიროში შეატანინა და გამოათქმევინა თ. პროკოფი შარვაშიძეს. ბ. ზდანოვიჩის ხელით დაწერილი გახლდათ ის მოხსენება, რომელიც ამ თავადმა სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიას წაუკითხა და გადასცა, ფოთის ქალაქის გამგეობის საქმეების მოულოდნელი რევიზია მოახდინეთ, რადგანაც ნიკოლაძემ სახელმწიფო ფული შეჭამა და გაფლანგაო. როგორც გემახსოვნებათ, ეს რევიზია შინაგან საქმეების მინისტრის (სტოლიპინის) ბრძანებით მოხდა 1909 დამდეგს: მან ცილისწამების სიმტყუვნე დაამტკიცა. აი უდავო სათავე თ. პროკოფი შარვაშიძის მოქმედებისა, ორი წლის შემდეგ, 1911 წ. დასაწყისში, როცა სტოლიპინმა თავის ცოლის-ძმას, ნეიდგარტს, მიანდო ქალაქების მმართველობის გაბიაბრუება, ბიუროკრატიის სასარგებლოდ და ასამაღლებლად.

მოთმინება იქონიეთ, ბატონო რედაქციავ: ის გოდორი, რომელიც თქვენმა ამხანაგებმა და თანამშრომლებმა, ბატ. ზდანოვიჩმა, ელზენკირხენის საზოგადოების სასარგებლოდ და თანამშრომლობით დაწნა ჩემდა გადასაჩეხად, მალე ბევრს სხვა მოღვაწეს იმსხვერპლებს ჩვენში. რაკი ყალბი ქაღალდები და ნემეცური აგენტის დე-სუნდეციჩის ჩვენება დოკუმენტებზედაც, ექსპერტიზებზედაც და ნაფიც მოწმეთა ჩვენებაზედაც უფრო სადასტურო ყოფილა, გულწრფელად ვისურვებ, ჩემზე უფრო მაგარი გულმკერდი ჰქონდეთ იმ უბედურებს, ვისაც მაგ გოდორში უკრვენ თავს გაჭირვებული „საზოგადო მოღვაწენი".

რაც შეეხება ჩემს ნალაპარაკევს ქუთათურ ვექილების ოთახში იგი ბ. ზდანოვიჩის თაობაზე იმასაც მოგახსენებთ: ვახსენე, როგორც თ. პროკოფი შარვაშიძის ხელმძღვანელი. ვთქვი: ბ. ზდანოვიჩის ამგვარი საქციელი მით მწვავს გულს, რომ ორჯერ მაინც მიხსნია ის საშიშ ხიფათისაგან, მიუხედავათ აშკარა პოლიტიკურის წინაალმდეგობისა ჩვენს შორის-მეთქი ამას ესეც დავსძინე: ღმერთმა ნუ ჰქნას, და ერთხელ კიდევ რომ გაიბას ბ. ზდანოვიჩმა თავი მახეში, ხელახლავ ისე ვუშველი, როგორც უწინ მეთქი. კაცია და გუნება: სიკეთე მახსოვს, ავი კი ჩემს ხსოვნაში ფესვს ვერ იკიდებს. ამ თვისებით ვარ ბედნიერი და... ძლიერი.

ნ. ნიკოლაძე.

16 ივნისი 1916

დიდი ჯიხაიში.

რუსული პრესა.

,,ბირჟ. ვედ.'' ში ბ. ვერშინინი მემარჯვენეების შესახებ სწერს:

„ყველაფერი იცვლება, ახალ სახეს იღებს, მაგრამ ჩვენი მემარჯვენეები კვლავ ძველ სამარცხვინო გზას ადგიან. სათათბიროში მათ უარყვეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების კანონ-პროექტი, უარყვეს აგრეთვე გლეხთა გათანასწორება სასამართლოს წინაშე. მერე იცით ამას რით ადასტურებდა ერთი მემარჯვენე აზნაური? „გლეხები ბრმები, გლეხები ავაზაკები არიან, მათთვის სასამართლო რა საჭიროა, ისინი ჩვენ უნდა გვყავდენო.. ამასთანავე მემარჯვენეები იძახიან: ყოვლად შეუძლებელია გლეხთა სრული უფლებრივი გათანასწორება. ეს ხომ ჩვენ გვავნებს. არა, გლეხები ისევ ძველ უღელში უნდა დარჩენო''...

აი, ასეთია ფსიხოლოგია დღეს ქვეყნის ,,აშენებლად" გამოსულ მემარჯვენეთა.

აი, ასეთი ზრახვანია მათი დაე, ყველამ გაიგოს, თუ რას უმზადებენ ეს ვაჟბატონები რუსეთს.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

„რეგულიტორი" 22 ივნისს საღამოს 7 საათზე შესდგა სარაიონო მომხმარებელი საზოგადოების „რეგულიატორის გამგეობის საორგანიზაციო კრება. თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა იასონ გაბილაია, ხაზინადრათ—ექიმი ნ. შენგელია, ხოლო მდივნად, ვლად. ემუხვარი. გამგეობამ იქონია მსჯელობა პრაქტიკულ ნაბიჯებზე და დაადგინა: 1) დაქირავებულ იქნას ერთი ოთახი ჯერჯერობით კანტორის მოსათავსებლათ; 2) ქალთა შრომის გამოყენებისა და ეკონომიის გაწევის მიზნით სასურველია კანტორის გამგეთ ინტელიგენტი—ქალის მოწვევა, 3) გაიგზავნოს ამიერკავკასიის მომხ. საზ. კავშირში საწევრო გადასახადი და წერილობით ეცნოს მას მოქმედების გეგმა; 4) მიმდინარე ანგარიშების გახსნა ვოლგაკამის კომერციულ ბანკში და 5) ანგარიში უნდა მოეწყოს სამაგალითოდ.

◆ 22 ივნისს, ღამით ძველი თბილილისის ქუჩაზე, ნაგორნი უჩასტკის რაიონში, ბოროტმომქმედს გაუღია ფანჯარა გიორგი კალანდაძის დუქნისა და მოუპარავს წვრილმანი სავაჭრო ნივთები 100 მან ღირებული. ქურდი მიიმალა.

◆ გუშინ, 23 ივნისს, დილის მატარებლით ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი გაემგზავრა თბილისს. მის მოვალეობას შეასრულებს სახაზინო პალატის გამგე სობრიევსკი.

პ. დ. ს ცნობით, შავ ზღვაში კრეისერები „ბრესლოუ" და „გებენი" გამოჩენილან. 19 ივნისს კრეისერებს ყუმბარები დაუშენიათ სოჭისთვის. აგრეთვე

◆ გუშინ დილის მატარებლით ქუთაისს დაბრუნდა ბ. ია ეკალაძე—ცინცაძე

რჩევამ დაადგინა სთხოვოს სამიწადმოქმედო გამგეობას შუამდგომლობა აღძრან ფიზიკურ ობსერვატორიის წინაშე მიეცეს შკოლას ყოველ წლიურად 200 მან. რათა მათ საშვალება ქონდესთ შეიძინონ მეტეოროლოგიური იარაღები.

2 განიხილეს აგრეთვე იმ მოსწავლეთა საქმეები, რომელთაც სასწავლო წლის ფული ჯერ კიდევ არ შეუტანიათ, რჩევამ დაადგინა, აცნობონ მათ მშობლებს და მისცენ ვადა არა უმეტეს ერთი კვირისა, ვინც ამ დროს განმავლობაში არ შეიტანს სასწავლებლიდან გამორიცხულ იქნება.

ცნობაა ოსმალეთის წყალქვეშა გემს რუსეთის სატრანსპორტო გემი დაულუპავსო.

◆ 16 ივნისს მოხდა ქ. სასოფლო სამეურნეო სკოლის მასწავლებელთა პედაგოგიური რჩევა. გასახილავი იყო ამავე სასწავლებლის შინაური საქმეები: 1) მეტეოლოგიური გამოკვლევა.—

◆ ამ დღეებში კურსების აბანოზე, არჯევანიძის შენობაში, გაიმართება წარმოდგენა. ქუთაისის მაზრის უფროსმა ნება უკვე დართო.

ქ. ფოთი.

შაბათს აქ ცნობილი ლექტორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი წაიკითხავს საყურადღებო ლექციას საქართველოს ახლო წარსულიდან „მეფე ირაკლი მეორის კანცლერი სოლომონ ლეონიძე—საქართველოს გაერთიანების იდეის მღადებელი."

ს ო ფ ლ ა დ

სოფ. გეგუთი. კვირას, 19 ივნისს, სოფ. გეგუთში (ქუთ. მაზრა) საზოგადო ყრილობა მოხდა ახლად აშენებულ ეკლესიის დამთავრების გამშვენიერების შესახებ. ამ საქმის გასაცნობად მიწვეული იყვნენ ქუთაისიდან რამდენიმე საქმის მცოდნე მოიჯარადრენი. საჯარო ვაჭრობა დაიწყო მღ. ხოჯავას თავჯდომარეობით. გაიგეს თუ არა ამ მცოდნე პირებმა, რომ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა უნდა მიეღო ვიღაც ჩარჩ გვილავას, უარი განაცხადეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობაზე და ვაჭრობა გადაიდო 24 ივნისისათვის.

ამ საქმის გამო ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა გიორგიმ ბრძანება დაუგზავნა ბლაღოჩინებს, რომ არც ერთი ეკლესიის გალამაზება-გამშვენიერების საქმე. არ გაიცეს მის დაუკითხავად. ეს განკარგულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხშირად ეკლესიის გამშვენიერების საქმეს ანდობენ ყოვლად უვიც და მხოლოდ საქმის კომერციულ მხრით დაინტერესებულ პირებს.

დამსწრე.

ლის მუცელზე და შექმნა ფრინველის ჰლექის ჩხირები.

პროფესორმა ებერმა დაადასტურა ეს მოვლენა შემდეგ გამოცდით: ჰლექიან ადამიანისაგან აღებული ბაქტერიები შეუშხაპუნა ხუთ სულს რქიან საქონელს, რომელნიც არ დაავადმყოფდენ. იმავე მასალით დაავადმყოფა ხუთი ზღვის გოჭი კანს ქვეშ შეშხაპუნებით. ზღვის გოჭებიდან გადაიტანა მსხვილ ფეხა რქიან საქონელზე, ამათში სამი დაავადმყოფდა ჰლექით.

უკანასკნელი ჰლექის ბაქტერიები ნახეს მიკროსკოპში: ესენი წააგავენ ხარის ჰლექისას, ვიდრე ადამიანისას, რადგანაც თავდაპირველად იმათგან წარმოდგენ.

თუთიყუშებს განსაკუთრებით და მტრედებს ადვილათ ედებათ ადამიანისაგან ეს სენი. მურზაევი მუშაობდა ამ დარგში და ამტკიცებს რომ 25 პროც. ამ ფრინველებისა ავადმყოფდებიან ოთახის ჰაერით სადაც გაფანტულია ჰლექიან ავადმყოფის ბაცილები.

ბატალინმა, ტერმა, დიუბარმა პირველად დაამტკიცეს, რომ ცივ სისხლიანებიც ავადმყოფდებიან ჰლექით, მაგალითად კარპი (თევზია).

თევზიდან ადამიანზე და ადამიანიდან თევზზე ამ ავადმყოფობის გადასვლა არ არის გამოკვლეული.

ზემო მოყვანილმა პირობებმა დაგვანახა, რომ ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვები, საშიშია ამ სენისაგან დაავადმყოფებით, ჰლექიან ძროხისა და თხის რძისაგან.

როგორ უნდა მოვეხმაროთ ამ უბედურებას?!.

ჰიგიენის მცოდნენი: რუბნერი, შმიტი და დოგელი გვიმტკიცებენ, რომ გადადუღებული რძე ზედ მიწევნით კარგავს თავის ქიმიურ შემადგენლობას: მაგალითად, ეგრეთ წოდებულს ვიტამინებს.

ვასილიევი ამტკიცებს, რომ შეთვისება აზოტისა და ერბოსი ძალიან ძნელდება გადადუღებულ რძეში.

მაშასადამე, ადუღებით ჩვენ რძეს ვუკარგავთ მის კარგ თვისებას და შემადგენლობას, თუმცა ამით ვანთავისუფლებთ სხვადასხვა ბაქტერიებისაგან. ასევე ხდება როდესაც რძეს ორთქლის ქვაბში 110 ა გრადუსამდის 1/4 საათს ვხარშავთ. ან „პისტერიზაციას" ვუკეთებთ, რისთვისაც ვათბობთ რძეს 75 გრადუსამდის, ოცი წამის განმავლობაში და უცებ ვაცივებთ რვა გრადუსამდის, თუმცა ეს უკანასკნელი საშუალება საშიშია' რადგან ჰლექის ჩხირებს 75 გრადუსი ვერ კლავს.

1906 წელს ეიხლოვმა სცადა შემდეგი: იშოვა ერთი დედის შვილი რვა ძაღლის ლეკვი, ოთხს აჭამა გადადუღებული რძე, ოთხს გადაუდუღებელი; ლეკვები, რომელნიც მოხარშულს რძეს სვამდენ, ჩამორჩენ ზრდაში მეორეებს. ექიმმა გუბერტმა პეტროგრადში ბავშვებზედაც სცადა ასეთი მაგალითი.

გადადუღებულ რძეს რომელნიც სჭამდენ დაავადმყოფდენ სისხლის ნაკრულობით, შეკრულობით და რახიტით.

კალმეტმა და ბრეტმა იმავე წელიწადში პარიზში გამოაქვეყნეს შემდეგი:

მოხარშულს რძეში ჰლექის მიკრობები იხოცებიან, მაგრამ ზოგი შხამიანი შემადგენლობა, (ტოკსინები) წარმომდგარი ჰლექის ჩხირებისაგან არ ისპობა.

ცხოველები, რომელნიც იკვებებოდენ დაავადმყოფებულ რძით იხოცებოდენ ძალზე სისუსტით.

ამას გარდა უმ რძეში ნახულობენ ზოგიერთს სპეციფიურს ფერმენტებს. რომელთაც აქვს დიდი ბიოლოგიური მნიშვნელობა ბავშვების აღზრდაში.

55 გრადუსის ზევით გამთბარ რძეში ჩვენ ვხოცავთ რძის საუკეთესო შემადგენლობას, რომელსაც ფერმენტები ეწოდება ამისათვის საჭიროა ვიხმაროთ საჭმელათ მოუხარშავი რძე, რადგანაც ზემო მოყვანილი მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ სალი ძროხისაგან დ თხისაგან მხოლოდ უმი რძე არის მარგებელი.

რომ დარწმუნებით იცოდეთ, თუ საქონელი არის ავათ ან კარგათ—ამაში უნდა დაგეხმაროსთ ვეტერინარული თვალყურის დევნება.

ადამიანის თუ ცხოველის ტანში გვეგულება ეს სენი—შეგვიძლია დიაგნოსისათვის ვიხმაროთ კოხის გამოგონილი ტუბერკულინი, რომელიც გამოაშკარავებას ამ ავადმყოფობას.

რა არის ტუბერკულინი?!. ოცი წლის წინეთ კოხის ტუბერკულინი განთქმული იყო ისე, როგორც ეხლა ერლიხის „606"-სი და „914" ამ საშვალებას გვირჩევდა კოხი ჰლექის საწინაამდეგოთ.

ექიმებიც პირველათ დიდის აღფრთოვანებით დაეწაფენ ამ საშუალებას, ავადმყოფების სიხარულს ხომ საზღვარი არ ქონდა, მაგრამ მალე იმედი გაცრუვდა და მიატოვეს კიდეც ტუბერკულინის ხმარება. თუმცა როგორც ზევით იყო აღნიშნული ავათმყოფობის გამოსაშკარავებლათ დღემდისა ბევრი ხმარობს

ტუბერკულინი მუშავდება ემულსიათ დახოცილ ჰლექის ჩხირებისაგან. ადამიანისათვის კანს ქვეშ ხმარობენ და გარედან თვალის წვეთებათ. კანს ქვეშ შეშხაპუნებით სიცხე ავათმყოფს ემატება 1,5-2° მდის, სხეული უდუნდება (ოოსხლეტს) სახსრების ტკივილს იგრძნობს, ის ადგილი სადაც შეუშხაპუნეს, უსივდება სამი ოთხი დღის შემდეგ ყველა ეს ნიშნები ქრება

ვინც ავათ არ არის ამ ტუბერკულინი სენით არავითარს ამდაგვარს გავლენას არ იქონიებს. თვალის უპის ხმარების დროს —უწიილებს და ანთებას უჩენს.

ზოგი დღემდისაც ხმარობს ტუბერკულინს ახლად დაავათმყოფებულს ჰლექიანებზე მას უწოდებენ „Туберкулинъ" C. L ამ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის კარგი შედეგი მოსდის დასასრულ საჭიროა ითქვას რამ ახლათ გამორკვეულს აბდერგალდენის რეაქციაზე, რომელმაც დაგვიმტკიცა შემდეგი: ჰლექიან ცხოველების სისხლში არის დამცველი ფერმენტები, რომელიც ანაწილებს პეპტონს.

როგორც აბდერგალდენმა ისე სხვა მეცნიერებმა ადამიანის სისხლში აღმოაჩინეს ეს მოვლენა ამისთვის უნდა ავიღოთ წყალში გახსნილი ჰლექიან ავათმყოფის ფილტვების ქსოვილები, შეურიოთ შესაფერისათ მომზადებულს ავათმყოფის სისხლის სითხეში, ჩავასხათ თევზის ბუშტში, ჩავდგათ წყლიან შუშაში და შევდგათ ტერმოსტატში რომელშიდაც 37° სითბოა თუ ცილი გავიდა წყლიან შუშაში, ამას გავიგებთ ბიურეტის რეაქციით, მაშინ ჩვენ გვექნება საქმე ჰლექიან ავათმყოფთან.

ამით ვათავებ ჩემს პატარა მოხსენებას და ვიმეორებ: ზემო მოყვანილი სიფრთხილეა საჭირო, რათა ავიცილოთ თავიდან ეს უსაშინელესი მტერი კაცობრიობისა, რომლიდგანაც 1/2 მილიონამდე კაცი იღუპება მარტო რუსეთში ამისათვის სასურველია შესდგეს წრე ქუთაისში ისეთი, როგორც სხვა ქალაქებში-განყოფილება რუსეთის საზოგადოებისა „Общество всероссійск. лиги борьбы съ туберкулезомъ". რომლის მიზანია ბრძოლა ამ სენთან

რისთვისაც მოგ.წოდებთ ყველას ერთ მანეთის დახმარებით განვახორციელოთ ეს დიდი საქმე.

მიხეილ ფარცვანიძე

პატარა ფელეტონი.

„სახალხო ფურცლის" მანიფესტი.

„სახალხო"ს რედაქციაში [illegible] მოწვეული ბჭობა იყო...

ბჭობას თავჯდომარეობდა „სამსონ ბერი", მდივანობდა გე—ვა—ლი",მოხსენებას კითხულობდა, „შინაური"...

მერე არ იკითხავთ რისთვის იყო „სახალხო"-ს რედაქციაში მოწვეული საჩქარო ბჭობა?

აი, ყური დაუგდეთ „შინაური" ს მოხსენებას და შეიტყობთ...

ბ-ბო! მდგომარეობა მეტად სერიოზულია: ვერდენი თან-და თან საფრთხეში ვარდება...

რა ვერდენი? მერე შენ სამხედრო საქმეების შესახებ მსჯელობა ვინ დაგავალა? პირქუშად სთქვა გე—ვა—ლმა:

აჰ, უკაცრავად, ბ-ნებო, საგანს გადავცდი. მე მოგახსესებთ ჩვენს სერიოზულ მდგომარეობაზე, რომ ჩვენი პოზიცია ხანდა ხან საფრთხეში ვარდება, მეციხოვნენი გვღალატობენ!..

ყველა მოკავშირე ჩამოგვშორდა, აღარც დასელები გვინდობენ, აღარც ნაციონალ-დემოკრატები და აღარც ჩვენი მეგობარი სომხები ..

მიიღეთ რაიმე ზომა, თუ არ გინდათ ჩვენი „ერთ დროს მქუხარე" ოჯახის დანგრევა...

სამსონ ბერი: ვისმესთან თუ კავშირი არ გვექნა, ისე ყოვლად მოუხერხებელია ჩვენი არსებობა.

დალაქი: ვის შევუკავშირდეთ?

დასელებს?

—ღმერთმა ნუ ქნას!

ნაციონალ დემოკრატიას?..

ყოვლად შეუძლებელია!

რუსეთის ბიუროკრატიას?

—ამისთვის ხომ ჯვარს გვაცმევენ?.

მაშ, რა ვქანათ?..

გე—ვა—ლი: ბ—ბო? რადგან ჩვენს პოზიციებს ყოველ მხრიდან ყუმბარებს უშენენ, ამიტომ საჭიროა მედგარი პასუხის გაცემა.

შინაური: არა ისევ სომხის პლუტოკრატებს უმდა დაუჩოქოთ მეტი ღონე არ არის.

მოდი და ხვალინდელ ნუმერში რითმე ვასიამოვნოთ მათ...

მართლაც, მეორე დღეს „სახალხო"-ს ნუმერში მოთავსებული იყო სომხური პრესა, სადაც „სახალხო ჰკიცხავდა ნაციონალ-დემოკრატების ორგანოს. რომელმაც მღვდელ-მთავარ მესროპისა და ქალალიანც-მილოვ-დოლუხანოვების შესახებ საქციელი აღნიშნა.

შინაურმა სთქვა. რა დროს გულწრფელობასა და მიუდგომელ სამართალზე ლაპარაკია. ვერა ხედავთ რა ყოფაში ვართ?

ჩვენ როგორც მოგვიხდება, ისე უნდა მოვიქცეთ...

თუ ჩვენთვის სასარგებლო იქნება, ქვეყნის მოღალატეც რომ იყოს, ხელი უნდა დავაფაროთ

მერე იცით, რა კარგი იქნება თუ სომხებმა ჩვენზე გული მოიბრუნეს?

მათზე ძლიერი თბილისში ვინ არის; მათთან კავშირი ეს ჩვენი პარტიის ხსნაა:

მათი შემწეობით თბილისში ძლიერი ვიქნებით და სხვაგან რას დავეძებთ.

შინაურს ყველამ ტაში დაუკრა...

ბჭობა მხიარულად დაიშალა...

Ser.

რუსეთის პატარა ერები.

ჩვენ საერთო სამშობლოს ბევრი პატარა ერი შეადგენს. მიუხედავათიმისა, რომ ბევრს მათგანს თავის საკუთარი კულტუარ არ აქვს, იგინი მაინც თავისებური ცხოვრებისაკენ ილტვიან; თავის ენას, ზნე და ჩვეულებას არ კარგვენ. ყოველ ღონეს ხმარობენ გარედან მოყენებულ ძალას თავისი საკუთარი ძალით შეებრძოლონ და ამ რიგათ თავისებურობა შეინარჩუნონ. რუსეთის წვრილ ერებს შორის, თავისებურობის შენარჩუნების მხრივ, ყველაზე უფრო ცუდ პირობებში ქართველი ერი იმყოფება. ყველა სხვა პატარა ერი რუსებისაგან, სხვათა შორის, სარწმუნოებითაც გაირჩევა და ჩვენ კი მათთან, რუსებთან, სარწმუნოებით ერთი ვართ. რუსებთან სარწმუნოებით განსხვავება, მაგალითად, დიდათ შველის პოლონელებს, ფინებს და ჩვენ მეზობელ სომხებსაც.

აქ, თავისთავად, სარწმუნოება, რასა კვირველია, არაფერ შუაშია, მაგრამ ბოროტი ადამიანები მას ჩვენდა თვალების ასახვევად და დასაბრმავებლად ხმარობენ ჩვენი საზოგადოების ფართო მასა, მამა პაპათაგან დატოვებულ ამ ცოდვას, დღემდის ვერ ხედავს

დრო არის კარგად ვიცოდეთ, რომ, ამა თუ იმ ერის ხსნა, დიდია იგი თუ პატარა, მარტო სარწმუნოებაში არ არის, ქართველობას, თავისებურობის შესანარჩუნებლად, მეტი ენერგია და შორს მჭვრეტელობა მართებს. სხვა პატარა ერებთან შედარებით გაორკეცებული შრომა სჭირდება თავის დასაცავად. რადგანაც, ჩვენ და რუსები, განგებას ერთი სარწმუნოების უღელ ქვეშ მოუქცევივართ, დღეს ერთადერთი ის ღა დაგვრჩენია, ჩვენს ეკლესიას თავისუფლება მოვუპოვოთ, თუ გვინდა, რომ საერთო სამშობლოში არ გავითქვიფოთ და ქართველებად დავრჩეთ, როგორც ჩვენ, აგრეთვე ჩვენი შვილიდა მომავალი

მ ბუაჩიძე.

ქართული სამეცნიერო და საფილოსოფო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

ფ.

ფაწალი, селезенка.

ფიცხელი, жесткій, твердый.

ფიცხი, грубый. აქედან: გაფიცხდა, сдѣлался грубымъ, вспылилъ

ფსლებრივი, серозный.

ფშვინვა, дыханіе, душа.

ფშვინვითი, пневматическій.

საფშვინველი, дыхательный.

ქ.

ქეცი, чешуя.

ქვებრივი, каменистый.

ქველის საქმე, благотворительность.

ქვეყანის მზომელი, геометръ.

ქვეყნიერი, матеріяльный.

ქვეშგანწვალებაჲ, подраздѣленіе.

ქვეშდაწესებული, დამორჩილებული, подчиненный,

ქიქება, გაწბილება, შერცხვენა, позорить.

ქმნა, происхожденіе; ქმნა სახეთა, происхожденіе видовъ (ახალი ტერმინი).

ქმნადი, ის, რაც უნდა გაკეთდეს, то, что возможно или должно быть сдѣлано.

ქმნადობა, процессъ, дѣйствованіе.

ქმნილი, происшедшій.

ქმნისშორისი, совершаемое.

ქმნული, происшедшій.

ქცევა, перемѣна, превращеніе, поступокъ, образъ жизни.

ქცევადი, измѣнчивый.

ქცევადობა, измѣичивость.

ქცეული, превращенный.

ღ.

ღალინოს, გალენი.

ღაღადებს, глаголетъ.

ღაღადისი, утвержденіе.

ღვიძლის ბჭენი, ворота печени (ანატომიური ტერმინი).

ღმრთეება, божественность (ღვთაება—божество).

ღირღილოანი, **ღირღოანი**, ხორკლიანი, шероховатый.

ღირღოანობა, шероховатость.

ღულარჭნილი, მიხვეულ-მოხვეული, извилистый.

ყ.

ყდა ლაქვარდებრივი, придатокъ яйчка (ანატომიური ტერმინი).

ყოვლობა, всеобщность.

ყურდგელი, კურდღელი, заяцъ.

ყურე, уголъ.

შ.

შავნაღვლიანი, меланхоликъ.

შარავანდედი, ореолъ.

შეავლენს, впускаетъ. აქედან ახლანდელი თქმა: შეადგენს კან ქვეშ თხეულობას, впрыскиваетъ подъ кожу жидкость:

შებღალული, оскверненный.

შედგმული, сложный, составленный; სიტყვიდან: შედგმაჲ, შედგმულებაჲ, составиться, составленіе

შედგომა, послѣдствіе; ნეფსითისა შედგომა და მიდევნება, то, что слѣдуетъ за произвольнымъ; ამ სენს შეუდგება სიკვდილი, за этого болѣзнію слѣдуетъ смерть.

შედგომილი, проистекающій, слѣдующій, послѣдующій.

შეერთოს, სიტყვიდან შერთვა, присоединяться.

შესაბამება, соотвѣтствуетъ.

შესაბამობა, соотвѣтствіе, отношеніе.

ვასილ წერეთელი.

რუსეთი.

რუსეთის „სათბობ მასალის“ სიძვირესთან მებრძოლმა კომისიამ სრულიად აკრძალა რუსეთში ცოცხალ ყვავილების გაყიდვა, ოჯახებში შენახვა და მოშენება. პეტროგრადის სტატისტიკის ცნობით, ცოცხალ ყვავილებში ყოველწლიურად მიდის, 50,000 საჟენი შეშა.

— —

მოსკოვში შემდგარა ერთი წრე, რომლის მიზანიც არის, მოაწყოს ახალი სახალხო კინემატოგრაფები, რომელთა პროგრამიდან სრულიად გამოტოვებული იქნება „სისხლის სამართლის საქმეები და სხვადასხვა გარყვნილების სურათები. ერთი სიტყვით, ნაჩვენები იქნება ისეთი სურათები, რომელიც მუშა ხალხს სიამოვნების გარდა არაფერს, ცუდს არ აგრძნობინებს

— —

მოსკოვსა და ოდესაში საქმელად აქლემის ხორცი შემოიღეს.

— —

ცნობილი მომღერალი შალიაპინი ამ მოკლე ხანში სპარსეთში მიემგზავრება. ზამთარში ის მიწვეულია საიმპერატორო თეატრებში.

— —

არხანგელსკში დასწვეს 700 ფუთი ხორცი, რომელიც საყინულე მატარებელში, მოუვლელობის გამო, აყროლებულა.

— —

რუსეთის მემარჯვენეები ძლიერ ამხედრდენ სათათბიროში არსებულ პროგრესიული ბლოკის წინააღმდეგ. ერთი ცნობილი მემარჯვენე სოკოლოვსკი სისხლის სამართალში მიცემასაც კი უპირებს პროგრესიული ბლოკის წევრებს.

— —

მოსკოვის სამოსწავლო მზრუნველმა განკარგულება დაუგზავნა საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებლების უფროსებს, რომ მოაწყონ მოწაფეთა მოხალისე „დრუჟინები“, რომელნიც სოფლელებს ჰირნახულის მოწევის საქმეში დაეხმარებიან.

— —

პეტროგრადის ქალაქის უფროსი თ-დი თუმანიშვილი დაინიშნა ჩრდილოეთის ფრონტზე მებრძოლ ჯარის სასურსათო საქმის მომწესრიგებელი ორგანიზაციის მეთაურად.

— —

რუსეთის პროგრესიულ ნაწილს აზრად აქვს რუსეთის ქალაქებში მოაწყოს უმაღლესი კოოპერატიული კურსები.

— —

უმაღლესმა მთავრობამ დამტკიცა რუსეთის საბუნებისმეტყველო მწერალთა და ექიმთა კავშირის წესდება.

— —

საზონოვს სომეხთა საკითხის შესახებ უთქვამს: ოსმალეთის სომხეთი თანდათან ჩვენს ხელში გადმოდის. ამ რიგად სომხეთის სურვილის განხორციელების დღე ახლოვდება. ამ საკითხს ჩვენ ამ ცოტა ხანში გადავსჭრით.

უცხოეთი.

ქ. ლონდონში მისტერ ჰუსინის კოლექციებში აღმოუჩენიათ ერთი ვეებერთელა დღიური, სადაც განსაცვიფრებელ სურათებად არის აღწერილი ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრება.

— —

პორტუგალიის მეფე მანუელი ცხენზე ხმლით ვარჯიშობის დროს მძიმედ დაჭრილა.

— —

1914 წ. ჩაძირულ გემ „ტიტანიკზე“ დაიღუპა ამერიკელი მილიარდელი ილუზი, რომელმაც თავის მეუღლეს 60 მილიონი მანეთი უანდერძა იმ პირობით, რომ ის არ უნდა გათხოვილიყო, ხოლო თუ გათხოვდებოდა, მაშინ ხელს იღებდა 60 მილიონ მანეთზე. ახლა როგორც ამერიკული გაზეთი იუწყება, ილუზას ქვრივს მოუნდომებია ერთ ამერიკელ ვაჭარზე გათხოვება და 60 მილიონის დაკარგვა. ნიუორკელი გაზეთები განცვიფრებული არიან ილუზას ქვრივის ასეთი საქციელით.

— —

ოსმალეთის დიდი ვეზირი ქალიმ საიდი ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის მოთხოვნით თანამდებობიდან გადადგა და მისი ადგილი თალაათბეიმ დაიჭირა

— —

როგორც გამოირკვა, ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე იუსუფ იზედინი თალაათბეის მოუკლავს.

ჩემი პასუხი ბ. გულშემატკივარს *).

მ. ხ.

თქვენი წერილი სწორედ რომ საკვირველება („ჩვ. მეგობარი“ № 78), მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ თქვენ თვითონ დაგვიხსენი გაოცებიდგან; დაგვიხსენით კი მით, რომ ვეღარ მოითმინეთ და თქვენი ვინაობა წინდაწინვე გაგვაგებინეთ; ამის შემდეგ კი წერილი, როგორიც უნდა ყოფილიყო, აღარ გაგვაკვირვებდა.

ბ გულშემატკივარო! თუმცა წერილის თავშივე ბრძანებთ: „მე არ მინდა ვინმე დავიცვა, ან ვინმეს (ვისმე) ბრალი დავდოვო“, მაგრამ ეს სიტყვები მეორე-მესამე სტრიქონებშივე გავიწყდებათ და თქვენი წერილი, თავიდგან ბოლომდის, წარმოადგენს — ერთი მხრით, თითქო უფასო ვექილის ცდას სწვ. ჭოლოშვილის დასაცავად და [illegible], ხოლო მეორე მხრით—[illegible] ჩვენდამი, რომ [illegible] „კინკლაობა“, თუ მეტი არა, [illegible] ნახსენები.

[illegible] რომ ეს ასეა.

„სისხლის წვიმის [illegible] (ეს [illegible], ალბათ, ეფექტისათვის [illegible]) სამარადო კინკლაობაში ჩაბმულხართ“-ო გვეუბნებით თქვენ; შემდეგ კიდევ: „კინკლაობით ძირს უთხრით იმ საქმეს, რომელსაც თქვენ უნდა ემსახურებოდეთ“-ო და სხვ. ერთი გვიბრძანეთ, ბ. გულშემატკივარო, რომელ წყაროებიდგან ამოგიკრეფიათ თქვენ ეს „მტკიცე ცნობები“, რომ ჩვენ ვკინკლაობთ, ძირს ვუთხრით საქმეს და სხვა თქვენ კი უნდა იცოდეთ, მ. ხ., თუ ვინ დაინტერესდა და ვინ დაიწყო ის საქმე, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. მაგრამ შეიძლება ის კი არ იცოდეთ, რომ იმ დროს ს. ჭ—შვილი, გამხნევებისა და [illegible] მაგივრად, მხოლოდ იმას გვიმტკიცებდა თავისებურად, ჩვეულებრივად: „სახელოვანი კულტურული მუშაობა შეუძლებელია“-ო. და ეს მაშინ, როცა ჩვენ ძირს ვუმაგრებდით საქმეს.

შემდეგ [illegible] მუშაობისა, ერთგვარმა უწესობებმა, რომელთა გამოწვევაში შეიძლება ს. ჭ—საც სხვებთან თანაბარი წილი ედვას, იძულებული გაგვხადა ჩვენ სხვებისთვის დაგვეთმო და გადაგვეცა მოგვარებული საქმე მიიღო ის სხვებთან ს. ჭ—შვილმაც. იმ დღიდგან, პირიქით, ჩვენზე მოდიოდა ხოლმე არასაკადრისი იერიშები, ჩვენ კი უმეტეს ნაწილად მოთმინებით და სიჩუმით ვუპასუხებდით.

შემდეგ განაგრძობთ: „რით ახსნას ადამიანმა თქვენი წერილი პატ. ს. ჭ—ძე, თუ არა პირადული ჟინით“-ო ს. ჭ—ძესთან საპირადო ჟინი ჩვენ არასოდეს არ გვამოქმედებდა, მით უმეტეს წერის დროს (თორემ მის საწინააღმდეგო წერა არც ისე ძნელი და მძიმე საქმეა, როგორც ეს თქვენ გგონიათ) ნეტა ვიცოდეთ—სად, როდის, ან რომელ წერილებში შევეხეთ ჩვენ მას, თუმცა ეს ყოველთვის შეგვეძლო გვექნა სხვადასხვა დროს მისი მოქმედების წყალობით; დღემდი ჩვენ ამას მოთმინებით ავუარეთ გვერდი და ვინ იცის, ჩვენ ადგილზე რომ ს. ჭ—შვილი ყოფილიყო, ამდენ მოთმინებას გამოიჩენდა თუ არა. მაგრამ ამის თავდებობასაც, ალბათ, თქვენვე იკისრებთ. დარწმუნდით, მ. ხ., რომ, არა თუ პირადული ჟინით არ გვიმოქმედებია მის წინააღმდეგ, პირიქით, მოსამართლედაც კი არ უარვყავით და მივიღეთ, როცა ის ე ი—შვილმა აირჩია მედიატორეთ. ნუ თუ იმიტომ მოიხსენიეთ თქვენს წერილში სიტყვა „კინკლაობა“ ხუთჯერ და „საპირადო ჟინი“, რომ ბოლოს, ს. ჭ—შვილს პასუხი სთხოვეს ნაკისრები მოვალეობისგან უდროო დროს გაქცევისათვის?! მერე რა არის აქ საკვირველი?! თქვენ ბრძანებთ: „არ შეიძლება თქვენც სუვერიანეზე ისეთი აზრის არ ბრძანდებოდეთ, როგორც მე და როგორისაც თვით მთელი საჩხერის საზოგადოება“-ო. ამაზე კი მოგიყოლებიათ მთელი რიგი დაუსაბუთებელი კომპლიმენტებისა, რომელთა წაკითხვაზე, ვფიქრობ, თვით ჭ—შვილსაც გააჟრჟოლებს.

ბ. გულშემატკივარო! როგორ ფიქრობთ, ვიცით კი ჩვენ ნამდვილად როგორი აზრისა ხართ თქვენ მასზე? აბა როგორ შეგვიძლია ჩვენ ნამდვილი რამე ვიცოდეთ ამის შესახებ, როცა თქვენ იმდენათ კადნიერდებით, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთან, ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრებს ადიარებთ მისი პიროვნების შესახებ, ე. ი. თქვენ ლაპარაკობთ მასზე ხან კარგს, ხან ცუდს.

„თვით-მთელი საჩხერის საზოგადოების“ მაგიერ ლაპარაკის უფლება თქვენ მოგანიჭათ?; როგორ ბედავთ სხვისი სახელით ლაპარაკი და ისიც „თვით მთელი საზოგადოების სახელით“! ერთი ჩვენც გვკითხეთ რამდენი ვიცით მასზედ საფუძვლიანად ერთობ ცუდი შეხედულებისა, მაგრამ ამით როგორ მივცემთ ჩვენ თავს მაგდენა თამამ ლაპარაკის ნებას!

კომპლიმენტების მთელი რიგის შესახებ თავს შევიკავებთ და ამჟამად აღარაფერს ვიტყვით გარდა იმისა, რომ ერთობ გულის ამღვრევია ის სტრიქონები („გულწრფელი, პირდაპირი“ და სხვ), რადგან საშინელი ფარისევლობის სუნი უდის.

დასასრულ, ერთ ადგილს კიდევ მივაქცევთ ყურადღებას: თქვენ გვეუბნებით, რომ ჭ-ძის საყვედური საზარალოა მრავალი საზოგადო საქმისათვის, რომელშიც ბ. სვ. იღებს მონაწილეობასო. სწორეთ ვერ გაგვიგია — შორს სადმე თუ რასმე აშენებს ეს კაცი — არ ვიცით და ახლომახლო კი მის ხელში მაგდენი „მრავალი საზოგადო საქმე“ გარდა იმ ერთი საქმისა, რომელიც ჩვენგან მიაბარა, ვერ შეგვიმჩნევია. ნეტა რას გულისხმობთ ამ „მრავალი საზოგადო საქმეში!..

თქვენი წერილი თითქო რჩევაც არის ჩვენ რჩევას დიაღაც მივიღებთ, თუ კი ის მისაღები იქნება, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით? რა რჩევა უნდა მოგვცეთ? ჯერ, მ-ხ, თქვენ ისწავლეთ, შეითვისეთ ზნეობა, შეიძინეთ ხასიათის სიმტკიცე, თვითონ დააღწიეთ თავი წვრილმანობას და მერე ჩვენც დიდი სიამოვნებით გავუწევთ ანგარიშს თქვენს სიტყვას, თუ კი იგი წრფელი გულით იქნება ჩვენდამი მომართული და მასთან რამე ღირებულობა ექნება. ჯერ კი, მ. ხ., სჯობს მოთმინებით დაეტიოთ საკუთარ ქერქში, თორემ ასეთი ფახიფუხით ვერც ჩვენ დაგვიფრთხობთ ძილს და ვერც სვ. ჭ-შვილს შესძენთ ბევრს რამე თქვენის ვექილობით.

ჯერჯერობით ჩვენ [illegible] და არ გვსურს [illegible], რადგან თქვენ მიერ [illegible] „კინკლაობაზე“ იმდენათ დაშორებული ვართ, რამდენადაც თქვენზე. ამის შემდეგ ამავე საგანზე ჩვენ აღარ განვაგრძობთ თქვენთან კამათს. (სვ. ჭ-ს თქვენი ვექილობა რათ უნდა?), რადგან ეს სრულიად ზედმეტი რამ იქნება. ბ. სვ ჭ შვილს კი სიამოვნებით გავყვებით, თუ კი ის გამოგვიწვევს.

დ. ლექვინაძე.

P. S. ვინაიდგან მე ჩემი ნამდვილი სახელით ვსწერ—წინადადებას ვაძლევ ბ. გულშემატკივარს თვითონვე გამოამჟღავნოს თავისი ვინაობა, მისი პიროვნების გამომჟღავნებას ბევრი მკითხველისთვის აქვს მნიშვნელობა; უნდა ყველამ იცოდეს ვინც ბრძანდება ის.

დ. ლ—ძე

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგან „მეგობრის“ რედაქციას ავტორისათვის საშუალება არ მიაუცია თავისი ეთქვა. რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 8 ს. 5 წ.
„	— საღამ.	— 8 ს. 55 „
ბათომიდან	— დილით	— 12 ს. 45 „
„	— ღამის	— 2 ს. 25 „
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 31 „
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს. 55 „
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 5 „
„	— ღამის	— 12 ს. 30 „
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 10 „
„	— დილის	— 6 ს. — „
ფოთისაკენ	— დილით	— 4 ს. 13 „
ტყიბულისკენ	— დილის	— 5 ს. 25 წ. „
შორაპნისაკენ	— დღით	— 6 ს. 25 „

მუშაოზს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვებ ს სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ავადმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)